- ზელიმხან მაღრაძე

ვინ ხარ შენ?!

ის მითი, რომ წყალი სიცოცხლის აუცილებელი ნაწილია და თვითონაა სიცოცხლე - გარკვეულწილად მართალი უნდა იყოს. ერთმა უდიდესმა მწერალმა იგი უკვდავყო თავის ნაწარმოებში, ასე ვთქვათ ძეგლი დაუდგა. „შენ არ გაქვს სუნი, არც გემო, არც ფერი, შენი აღწერა შეუძლებელია, შენით ტკბებიან ისე, რომ ვერც აცნობიერებენ რა ხარ შენ... შენ თვითონ ხარ სიცოცხლე...“ მერე მწერალი აღნიშნავს, რომ ადამიანი შეიძლება მოკვდეს წყურვილით ორ ნაბიჯში ტბასთან, რომელიც მარილიანია, წყაროსთან, თუკი მასში მაგნიუმია გარეული,- „ ... შენ ისეთი ფაქიზი ხარ, რომ ვერ ეგუები უცხო შენაერთებს, ვერ იტან იმას, რაც სასმელად გამოუდეგარს გხდის. შენ ანგელოზი ხარ რომელიც ადვილად შეიძლება შეკრთეს, მაგრამ შენ გვანიჭებ უბრალო, შეუმჩნეველ ბედნიერებას“!!

საოცარი კი ის არის, რომ მერე თითქმის ყველა წყალი: მტკნარიც, მტუტეც, აქოთებულიც, წაბილწულიც უნდა აორთქლდეს, ღრუბელად იქცეს, განიწმინდოს, მერე ღრუბელი წვიმად, თოვლად, სადღაც მწვერვალზე ყინულად, ზოგჯერ სტიქიად - ღვარცოფად, სარწყავად და რაც მთავარია - სიცოცხლის წყაროდ იქცეს - ჭად, ანკარა და სუფთა მდინარედ, ტბად, რომელიც არც ზღვაში, არც ოკეანეში არ ჩაედინება, ზოგი კი მიიჩქარის რათა იქცეს ერთსახოვან მტუტე წყლად, ზღვის ბინადართა სამყაროდ და საცხოვრებლად. დედამიწა კი თავმდებია იმისა, რომ ეს წყალი შეისრუტოს გაფილტროს, გაამდიდროს მინერალებით და მერე ზომიერად გასცეს. ეს უკვე მცდელობაა დაუბრუნდეს საწყისის საწყისს და კვლავ იქცეს ანკარა წყაროდ. ის, რომ ყველანაირი წყლის მცდელობა, პირველსახის დასაბრუნებლად ისწრაფვის, უკვე ცხოვრების არსია, ან თვითონ ცხოვრებაა - კანონი მარადისობის და უკვდავების...

აი, ამ წყაროზეა დაფუძნებული ის უკვდავების წყლის მითოსი, ჩვენმა წინაპრებმა ამ ზეციურ ქნარზე რომ დაამღერა და მოგვცა მაგალითი ქართულ მითოლოგიაში როგორც უკვდავების სახიერება - „უკვდავების წყალში“ ძებნით გადმოგვეცა, რომელიც ცხრა მთას იქითაა, ძნელად საპოვარი და მიუწვდომელი... ის რაც მერე წყლის კურთხევით ხდება ნათლობა, სენის დამარცხება და სახლ-კარის განწმენდა ავი სულებისგან...

ზეციური კი ყველასთვის მიუწვდომელია, იქ მარადიული სისუფთავეა და თუ რამემ წარყვნა, უმალვე ხდება განახლება მზით და ღრუბელით...

თუ ადამიანი არ იარსებებს, მაშინ არც რელიგიის არსებობას ექნებოდა აზრი, ანუ, თუ ადამიანში ღვთიური სული არ იქნება შთაბერილი, მაშინ, ცხოველად მოევლინებოდა და ვერც შემოქმედს შეიცნობდა ეს არსება. რამეთუ, როგორც წვიმაა საწყისი წყაროს არსებობისა, ასევე სული და სულიერებაა საჭირო, რომ თიხაში სიცოცხლე წარმოიშვას და გულისცემამ აიღოს სათავე; გული კი, სიყვარულის წყაროა, რომელიც განწირულია დიდ მდინარესთან შესართავად და მტუტე, ერთსახოვან სითხედ გადასაქცევად, თუკი ადამიანი კალაპოტს არ შეუცვლის ნაკადულს (ე.ი. გულს თუ არ გასწმენდს), რომ იგი კამკამა ტბაში ჩაედინოს. კამკამა წყლად ყოფნა კი სამოთხეში ყოფნაა, საიდანაც მზის (ღვთის) ძალისხმევით ორთქლად ავა ზეცაში, რათა ისევ წვიმად იქცეს და ახალი დასაბამი მისცეს წყაროს, ან ჭას, რომ არ დაშრეს...

პირწყალი - ასეთი სიტყვა დაგვიტოვა წინაპარმა, რომელიც ნამუსს ნიშნავს, (სულხან - საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული ტ. 1 გვ 626) ე.ი. აუგის გარეშე ყოფნას, თავისთავად ეს წყაროს წყალია, მხოლოდ დასალევად გამოსადეგარი, მაგრამ თუ უხვად გვაქვს, ხელსაც ვიბანთ ხოლმე, მაგრამ უდაბნოში ამის ფუფუნება არ გააჩნია ადამიანს და ისე არაფერს უფრთხილდება როგორც სასმელ წყალს.

ამხელა წინასიტყვაობა იმიტომ წავუმძღვარე ჩემ სათქმელს, რომ ჩვენი,- მითუმეტეს ქართველი ადამიანის არსებობის მიზანზე და დანიშნულებაზე მესაუბრა და გამეზიარებინა ჩემი აზრი.

მაშ ასე, ჩვენ თუ შევეცდებით ჩვენი სიცოცხლის საწყისის ძებნას, მის ათვლას ჩვენსავე დაბადებიდან დავიწყებდით, არადა სათავე სულ სხვაგან უნდა ვეძიოთ. იქ, შორეულ წარსულში საიდანაც ჩვენი წინაპრები მოდიან. უფრო შორს თუ წავალთ - საიდანაც კაცობრიობამ აიღო დასაბამი; ხოლო თუ უფრო შორს, - მივალთ თიხამდე, რომელიც ღმერთმა ჯერ შეზილა, მერე გამოძერწა და როცა სული შთაბერა, მას სინდისი (პირწყალთან ერთად), ანგელოზის სახით თანამგზავრად დაუდგინა და თავისუფალი ნებით დედამიწაზე მოავლინა.

გულუბრყვილო ადამიანი თავის წარმოშობის საწყისს სწორედ ამ თიხაში დაუწყებს ძებნას, არადა სულის შთაბერვაშია მთელი საიდუმლო. დედის მუცელში ყოფნისას ექიმები ყრმის გულისცემას გულდასმით უსმენენ, იქ ყრმა არ სუნთქავს, ხოლო დაბადებისას მნიშვნელოვანია პირველი ამოსუნთქვა,

ამოკვნეს-ამოტირება და გულდამშვიდებულნი ყრმას, დედის მკერდზე მიუჩენენ საბუდარს; სწორედ ამ ამოსუნთქვაში სიცოცხლემ აიღო დასაბამი. აქ ჩვენც შეგვიძლია მიუძღვნათ იგივე სიტყვები როგორიც წყალს: - „შენ არ გაქვს სუნი, არც გემო, არც ფერი... შენ თვითონ ხარ სიცოცხლე...“

აი მერე იწყება სიცოცხლე, და ეს სიცოცხლე უზრუნველია იქამდე, სანამდის, დედის კალთაზე ხელჩაკიდებულნი და მამის სინდიზე მომზირალნი რომ მივდევთ ფეხდაფეხ მათ გაკვალულ გზაზე, ამ გზაზე ხდება სამყაროს შეცნობა, ფეხის ადგმა, და ერთმანეთისგან ავ-კარგის გარჩევა. დაბადების მერე, ჩვენ, გვანიჭებენ სახელს, ხოლო, ჩანასახშივე, გვარს ვატარებთ, ჯერ არავინ იცის ჩასახული ვაჟია თუ ქალი, მაგრამ გვარი - მამისეული გვარი, - დედის მუცელშივე მინიჭებული გვაქვს და ამ სიმდიდრით იბადება ადამიანი, მერე ის აცნობიერებს, რომ აუცილებლად უნდა მოკვდეს, იმიტომ, რომ როგორც დაბადება - სიკვდილიც, ცხოვრების ნაწილია, ხოლო გვარი, ოჯახისშვილობა და მამულიშვილობა, ცხოვრების მართვის წესი. უფრო ხანგრძლივი ვიდრე სიცოცხლე კაცისა.

გვარიშვილობა, ეს ის უხილავი საუნჯეა, რომლითაც მერე ჩვენ ვცოცხლობთ, ვამაყობთ, ვცხოვრობთ და ვირჯებით, რომ დასაბამი მივცეთ სხვა სიცოცხლეს, და გამრავლდეს ქართული გვარ-ჯიში. ზოგი გვარი დარქმეულმა სახელმა წარმოშვა, ვინმე სახელოვანი კაცის გამო, გმირმა და თავდადებულმა ადამიანმა დააფუძნა მრავალი გვარი, ზოგი სადაურობიდან მოდის, ზოგი კი, ხელობა-საქმიანობის გამო შეარქვეს და ასე ჩამოყალიბდა გვარიშვილობა, ეროვნულობა და ბოლოს ჯიში, რომელიც მერე საკუთარ თავზე ძალიან გვიყვარს და ეს სიყვარულია ის ნათელი გზა, რომელსაც შემოქმედთან მიჰყავს ადამის მოდგმა. აქ, ამ სიყვარულში საკუთარი თავიც მოისაზრება... არ შეიძლება გიყვარდეს ის, ვისაც საკუთარი თავი, სამშობლო, დედ-მამა, და გვარი სძულს - მას ყროლის სუნი ასდის!!!

ცხენზე მჯდომ ადამიანს მხედარი ჰქვია, თურმე ცხენი რაღაცა დიდ უპირატესობას ანიჭებს ადამიანს - ის მხედარია! მხედარი, რომელიც მიდის გზად, ხევ-ღელეში, უდაბურ ტყეში, იგი ათვალიერებს და ზვერავს მიდამოს იბრძვის, მღერის და სულაც არ ფიქრობს თვალყური ადევნოს გზას; ის მინდობილია ცხენის თვალებს, რომ გზა უსაფრთხოდ გაიაროს მხედარმა და იცის - ცხენი მშვიდობით მიიყვანს სახლში, ასევე გვარიშვილობაც მხედრად აქცევს კაცს, იგი მინდობილია მამისეულ გვარზე, რომელიც ადამიანს განსაკუთრებულს ხდის, ცნობილია მისი წარმომავლობა, კულტურა, ზნე, ჯიში, სადაურობა და ა.შ. მერე ურთიერთობისას ვგებულობთ მის აღზრდის ხარისხს

და ამის მიხედვით ვსაზღვრავთ, თუ რა სახის ურთიერთობა უნდა დავიჭიროთ მასთან, ამ გვარზე ამხედრებულ ადამიათან, რომლის წარმომავლობასაც, ე.ი. გვარიშვილობასაც მოწიწებით ვეკიდებით და მერე ჩვენ, გვარის და ერის გაკვალულ გზაზე არხეინად მივდივართ, რომელიც გზაგამკვლევის როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში...

ეს დალოცვილი ჩვენი ქვეყანა - საქართველო - მდიდარია ეკლესია - მონასტრებით, მრავალი მტერს დაუნგრევია, მრავალი მიწისძვრას და რაღაცა უბედურებას, მრავალი კვლავ აღდგენილა და ახლაც მფარველობს ქვეყანას, მაგრამ მრავალი სოფელთან ერთად დაცარიელებულა და ის ნანგრევი დგას და ელოდება ქართველი კაცის გულისწადილს - კვლავ აღადგინინონ ტაძარი და მასთან ერთად სოფელიც. ჰოდა, როცა მიეშურები ამ მადლიან მიწაზე, ხშირად შეხვდები ქვას, რომელიც აშკარაა, რომ ტაძრისაა, მაღლა მთიდან რომ დაგორებულა და დევს ასე ეული. ზოგი ხევში, ზოგი სადღაც ვაკეზე, მაგრამ თავისი დიდება არ დაუკარგავს, ისევ ისეთი მადლი შემორჩენია როგორიც მაშინ, აი გორის წვერზე დანგრეულ ტაძრის მთლიანობას, რომ ემსახურებოდა.

უმეტესობა ქრისტიანისა და ქართველისა უნებლიედ მუხლს მოიყრის და ეამბორება ამ ქვას, რომელზეც ან ჯვარია გამოსახული ან რაიმე ორნამენტი; ლოცვასაც იტყვის და უფრო გულისხმიერი სანთელსაც დაანთებს. არადა ამ დალოცვილ მიწაზე ქვის მეტი რაა, რატომ მაიცდამაინც ამ ქვას მოუყრით მუხლს და ვეამბორებით? - იმიტომ რომ ის ტაძრის ქვაა, მისი ნაწილია, რომელსაც ტაძრისგან მინიჭებული მადლი წამოჰყოლია და აგრძელებს თავის ფუნქციას ქვაში. ეს ტაძრისგან მინიჭებული ღირსებაა, რომელიც აკეთილშობილებს ამ ქვას. ღირსებით აღავსებს და განადიდებს. სხვამხრივ ის უბრალო ქვა იქნებოდა, რომელსაც გვერდს აუვლიდით, ან ჩამოვჯდებოდით, მაგრამ ამ ქვაზე? - ნურას უკაცრავად, არაქრისტიანიც მოწიწებით მოეკიდებოდა მას ...

ყველაფერი, კლდე, მიწა, რომელზეც ტაძარი დგას; ყველა ქვა, დუღაბი, კენჭი, ქვიშა, ხე, რკინა, რომელიც ჰქმნის ტაძრის მთლიანობას და ემსახურება მას - ყველა გაკეთილშობილებულია იმით, რომ იგი ემსახურება მის მთლიანობას და მის ფორმას ჰქმნის, მისი ნაწილია, რაშიც ღვთის სულია დავანებული და ვიწმინდებით ჩვენ. თავისთავად ქვა, ხე, დუღაბი არაფერია, მათ ტაძარი ანიჭებს ღირსებას და დიდებას, რომელსაც ასე ვეთაყვანებით... ასევე გვარი და გვარიშვილობა ანიჭებს ადამიანს განსაკუთრებულ ხარისხს; მხედრად აქცევს. კეთილშობილს ხდის - სიკეთეში შობილს!!!

ეკლესია გვასწავლის რომ ყოველი ოჯახი პატარა ტაძარია. კლდეზე დაშენებული ტაძარი. ეს ჩვენზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მყარია და დროს უძლებს, ე.ი. მთელი გულისხმიერებით არის აშენებული და ასეთი ტაძრის (ოჯახის) აგება ღვთის საამო ქმედებაა და რადგანაც ოჯახი, როგორც ტაძარი მარტო შენობა- ნაგებობა არ არის, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ოჯახში, როგორც მონასტერში იერარქიული წყობა არის ოჯახის მმართველობისა, ის კარგადაა დაცული და ფრიად გაფრთხილება გვმართებს. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ მრავალი ოჯახიც ინგრევა საუბედუროდ, მაგრამ გვარის დამღა, როგორც ქმარს, ასევე ცოლს, მთელი ცხოვრება გასდევს, რომ არაფერი ვთქვათ გენეტიკურ კოდზე...

ჩვენ ყველანი ღვთის შვილები ვართ, მაგრამ გარდა ამისა კიდევ გვარის შვილები ვართ, მამულიშვილები და ბოლოს ოჯახის შვილები. ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი ღირსება, უმძიმესი ჯვარია გულისხმიერი ადამიანისთვის, მაგრამ საამო ტვირთია, აი როგორც მკლავზე გადაწვენილი მძინარე მოხუცი დედა, შენ მკერდზე მინდობილი მძინარე შვილი, როცა ვერც კი გრძნობ მის სიმძიმეს... ზოგჯერ ძნელია, ამ ტვირთის ტარება, როგორც მძიმე და ძნელად საზიდი ჯვარი, - ძნელია იმიტომ, რომ ყოველი მათგანი უდიდეს პასუხისმგებლობას განიჭებს და სიყვარულს შობს. თუ მშობიარობას ტკივილი თან არ სდევს, იქ სიყვარულის ნაკლებობას განიცდის დედა... თუ არ გტკივა, თვითონ გვარიშვილობა, ქრისტიანობა, მართლმადიდებლობა და მამულიშვილობა, იქ სიყვარული მოჩვენებითია... ადვილია უთვისტომო ადამიანისთვის გარიყულად სიცოცხლე, ის არც ცხოვრებას, არც გვარიშვილობას, არც მამულიშვილობას არ უფრთხილდება, არ დგას მის სადარაჯოზე იმიტომ, რომ მის მიღმა არავითარ ფასეულობას არ ხედავს, ის თავისი მოქმედებით თავისუფალია, რადგან ვერავის სახელს ვერ შებღალავს, არც საკუთარი სინდის-ნამუსი აღელვებს. ამიტომაა მისი უნამუსობა მისთვის ხელგახსნილი და ისიც შესაბამისად მოქმედებს, ისინი იკვებებიან სხვისი ტკივილით და სუქდებიან და მრავლდებიან, ურწმუნონი ხომ ნოყიერი საკვებნი არიან სატანასთვის, რასაც ახლა თავისუფლებას არქმევენ, სინამდვილეში ეშმაკის მსახურნი არიან...

ჩვენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით საქართველოში შეიქმნა და ჩამოყალიბდა საგვარეულო სადროშოები რომელმაც გააერთიანა აქა-იქ მიმოფანტული ერთი გვარის მქონე ოჯახები. მოიქარგა დროშები გვარის დამსახურებისა და განვლილი გზის ამსახველი სიმბოლოებით, სადაც გამოხატულია ამა თუ იმ გვარის ხასიათი, მისწრაფება, კულტურა და ზნე. დაიწერა ხატები, რომელი ხატებიც უწევენ მფარველობას სადროშოს. ეს

დროშა წმინდაა, იგი ნაკურთხია და უბრალო ნაჭერი არ გეგონოთ, მის წინაშე ჩვენი წინაპრები მუხლს იყრიდნენ და ფიცს სდებდნენ, მერე თავს სწირავდნენ...

ახლა წარმოვიდგინოთ სახლიდან გასული რომელიმე გვარის მატარებელი ადამიანი - ქალი, კაცი, ბიჭი, გოგონა, მოხუცი. მან ზურგს უკან მიიხურა კარები და აღმოჩნდა ქუჩაში; მან, მისდაუნებურად, ოჯახის და გვარის ღირსება, როგორც დროშა წაიმძღვანა წინ და ის, თავის თავს აღარ ეკუთვნის, ის ახლა თავის გვარს და ოჯახს წარმოადგენს. მას თან მიაქვს წინაპრებისგან წვეთ-წვეთ ნაგროვები ღირსება, სინდისი ნამუსი, რითაც გვარი ამაყობს, აი ამ უხილავ დროშა-ბაირაღში რომ დავანებულა და ამით მოაქვს თავი. მერე მთავარი ის არის, თუ რა მდგომარეობაში დააბრუნებს ამ სანუკვარ საგვარეულო დროშას სახლში, რამდენი ლაქა იქნება დროშაზე რამდენი ადამიანის ლოცვა მოჰყვა მას ფეხდაფეხ, რითაც გაამდიდრებს და გააბრწყინებს მას. მნიშვნელოვანია ყველაფერი; როგორი ლექსიკონით საუბრობს, როგორ იქცევა, რა აცვია და ახურავს.

 წინაპრების კოვზით ნაგროვებ სინდისს ნიჩბით თუ მიადექი და გაფანტე, ან ქარს მიეცი, რაღა გვარიშვილი ხარ შენ. მე აქ ერთ შედარებას მოვიყვან: შეგიმჩნევიათ ალბათ, რომ გზაზე მიმავალ ავტომანქანას ან ფეხით მოსიარულე ადამიანს პოლიციელი, რომ გააჩერებს; სანამ წარსდგება მოქალაქის წინაშე ის, ფორმას გაისწორებს, საკინძეს შეიბნევს ქუდს გაისწორებს, მერე პატაკით წარსდგება და მიუთითებს, თუ-კი რამე დარღვევა ჰქონდა მოქალაქეს. ხედავთ? ის გადაღეღილი არ მიდის მოქალაქესთან, იმიტომ რომ ის, სახელმწიფოს წარმოადგენს და ამიტომ მოწესრიგებული უნდა იყოს. ასევე მოსამართლე, რომელსაც განაჩენი გამოაქვს - სახელმწიფოს სახელით მოქმედებს - შესაბამისადაა ჩაცმული... ჩვენ კი სადაც არ უნდა ვიყოთ, ჯერ ქრისტიანობას, ხოლო შემდეგ, ოჯახს და გვარს წარმოვადგენთ, რეგიონში სოფელს, ქვეყანაში რეგიონს, საზღვარგარეთ კი ჩვენს ქვეყანას. ასევე ჩვენც გვმართებს სახლიდან რომ გამოვდივართ წესიერად უნდა გვეცვას, ქარაფშუტად არ უნდა გამოიყურებოდეს ადამიანი არც ვნებებს უნდა აღძრავდეს მავანში თავისი სიშიშვლით. ერთმა ადამიანმა შეიძლება ასი მოძულე და მტერი შესძინოს ქვეყანას სოფელს, გვარს და ოჯახს, ასევე ათასი მოყვარეც.

აი რას ბრძანებს ესაია წინასწარმეტყველი: „მოიხადე პირბადე, აიკრიფე კალთები, გაიშიშვლე წვივები და გადადი მდინარეზე. გაშიშვლდება შენი სირცხვილი და გამოჩნდება შენი აუგი... თუ შემოსვა მადლია, რადგან

შემოსილობა ბუნებრივი მდგომარეობაა ადამიანის და ვინც შიშველს მოსავს სათნოდ იქცევა - გაშიშვლება სასჯელია“. არ გეგონოთ ეს უბრალო მოკვდავის ნათქვამი იყოს. უდიდესმა წინასწარმეტყველმა დაგვიტოვა ეს ანდერძი. წინასწარმეტყველმა!!!

გარკვეულწილად, მშობელი, ხიდზე წინმიმავალი გზაგამკვლევია; უკან მისი ნაშიერი მისდევს, რომელიც ასევე ცოტა ხნის წინ თვითონ მისდევდა თავის მშობელს და ასე წაჰყვება ყოველი მომავალი თაობა მის წინმავალს. მან გაფაციცებით უნდა ადევნოს თვალყური თავის მამას და თუ სადმე ფეხი ჩაუვარდა უნდა გაითვალისწინოს, აერიდოს იმ ადგილს, იმ ნაკვალავზე დაბიჯება უკვე საშიშია და მერე უნდა გადაეცეს უკან მომავალ თაობებს, თუ სადაა საშიშროება და სად კეთილი გზა. ესაა ოჯახი, ამ ბალავარზე შენდება მომავალი, წინაპრების მიერ ეტრატზე დაწერილი კოდექსის ზუსტი შესრულებით და საერთოდ, ჩვენი ცხოვრება, ჩვენ წინაპრების მიერ ნაგროვები სინდისის ხარჯვაა, რომელიც ფლანგვაში არ უნდა გადაიზარდოს. თუკი ამ სალაროს არაფრით გაამდიდრებ - მალე შემოგეხარჯება წინაპართა ტკივილის განცდა, სიხარულის ზომიერი აღქმა, ზნე-ჩვევა, სინდისი, ნამუსის შეცნობა, სიყვარულის არსი, მტერ-მოყვარის გარჩევა და რაც მთავარია: თუკი ღმერთი გააძევე შენი სახლიდან. გამოდის, რომ შენ, შენ გვარს აღარ წარმოადგენ და შენს ნაშიერს სხვისი სინდისით და სხვისი კულტურით მოუწევს ცხოვრება და აქ, შენი შვილი, შენი აღარ არის, აღარ გეკუთვნის და უკანონოდ დაბადებულს ჰგავს - ე. ი. ნაბუშარს და თურმე სხვის შვილს ზრდი სახლში!!! ჯოჯოხეთიც მეტი არაფერია, თუნდაც ერთი ადამიანი გადაიყვანო ჯიშიდან, რწმენიდან, უკვე ცოდვის გზაზე დგახარ და სამოთხიდან ჯოჯოხეთამდეც ერთი ნაბიჯია; - სამოთხე და ჯოჯოხეთი, ეს ორი ნაწილია ერთი სულის! ამ რწმენით, წინაპართა წინაშე მოწიწებით თუ ცხოვრობს ადამიანი, იგი სამოთხის გზაზე დგას და ღმერთიც მასთანაა... მერე მისი შვილებიც მივლენ ამ დასკვნამდე, რათა აღიარონ, რაოდენ ძვირფასია წარსულში ჩარჩენილი „მე“, რომელიც ამავდროულად მისი პაპის, პაპის პაპაა და სწორედ ის წყაროა საიდანაც ის იღებს სათავეს. მხოლოდ სულელი ფიქრობს, რომ ხატი, ხატმწერისთვის ხელობაა მხოლოდ და არა რწმენა, მაშინ აღარც ეს ხატი იქნება მისი მეოხი... შენი წინაპარი, შენი ხატებაა.

მოხუცი დედ-მამის მოვლა-პატრონობა, აუცილებელი ვალდებულებაა, მისი უგულებელყოფა, მე ვიტყოდი დანაშაულია; თუმცა დანაშაული იურიდიული მცნებაა, დამნაშავეს ციხეში სვამენ, სახრჩობელაზე გაამწესებენ, თავს ჭკვეთენ და ა.შ. ალბათ ეს უფრო ცოდვაა, მონანიებადი. თუ შენ სიბერისგან დაუძლურებულ და დამახინჯებულ მშობლის მოვლა ითაკილე და მომვლელი

აიყვანე, იქ გათავდა შენი კაცობა. დაუძლურებულ დედ-მამის მსახურება არ ნიშნავს, რომ შენ სიმახინჯეს ემსახურები, შენ მათი სულის მსახური და მოტრფიალე ხარ და არა უძლური სხეულის, თუმცა ამ უძლურებაშიც სილამაზე თუ ვერ დაინახე - წახდა შენი კაცობაც და ქალობაც.

გამიგია, რომ სვეტიცხოვლის ტაძარში ინახება ერთი თავი, რომელიც ბიბლიაში არ შევიდა. აი რას მოგვითხრობს იგი: - რომელიღაც ქალაქიდან, მაცხოვარი სხვა ქალაქში მიეშურებოდა. გზაზე, რომელიც მათ უნდა გაევლოთ, მკვდარი ძაღლი ეგდო და საშინლად ყარდა; ყველა გზას უქცევდა და სხვა გზით მიდიოდა. მოწაფეებმა სთხოვეს სწორედ ამ შემოვლითი გზით წასულიყვნენ, მაგრამ მაცხოვარმა სწორედ ის გზა აირჩია. როცა გვერდზე გაუარეს ყველამ პირზე რაღაცა აიფარა და თავი იბრუნა. აუტანელი სიმყრალე ბატონობდა ირგვლივ. „აბა შეხედეთ - წარმოსთქვა მაცხოვარმა - როგორი ლამაზი კბილები აქვს ამ ძაღლს“. მან ამ სიმყრალე- სიმახინჯეშიც კი სილამაზე დაანახა მოწაფეებს. და აგრძნობინა - ყოველი სული გიყვარდეთო, უნდა...

ოჯახის საფუძველი ცოლი და ქმარია. სიყვარულზე დაფუძნებული ქმედება. სიყვარულს თუ განვიხილავთ როგორც ქმედებას, მაშინ მას (სიყვარულს) უნდა მივუსადაგოთ დრო და სივრცე, რომ მივიღოთ ქმედება (მარგი ქმედება). ე.ი. ერთი გულიდან, მეორე გულამდე მიტანილი უხილავი გრძნობა - უდრის სიყვარულს და მათი ამბიონზე ასვლით (ატანით) იბადება ოჯახი, რომელიც დავანებულია ერთ სულში, ერთ სხეულში და როგორც ჩვენი პატრიარქი ბრძანებს სხვადყოფნის ნიჭის შეგრძნებაში. ამ დროს ახალ ეკლესიას ეყრება საფუძველი და ოჯახის ღირსების საფუძველიც აქედან იღებს სათავეს, უკვე გამზადებულ-გამშვენებული მამა-პაპისეული სიბრძნით, თუმცა ის უკვე ფლობს იმ უხილავ სიმდიდრეს, რაც ზევით მოგახსენეთ, გვარის ზნე - ჩვევებს და მასზე დამყარებულ ცხოვრების წესზე. აქ უდიდესი თავგანწირვაა საჭირო, რომ დაიცვა ეს მონაპოვარი. სწორედ თავგანწირვაშია ადამიანის სიცოცხლის არსი.

მამა, რომელიც ოჯახს და რაც მთავარია გვარს წარმოადგენს - უმაღლესი ერარქია ოჯახში, იგი სულია, რადგან მასში დავანებულია გვარის სინდისი, ამიტომ მისი გათახსირება მთელი ოჯახის გათახსირებაა, არ შეიძლება ოჯახის მამამ წაიბილწოს სახელი და ის ოჯახზე არ აისახოს. ის ოჯახის და ქვეყნის გუშაგია, გაფაციცებით რომ ადევნებს თვალ-ყურს საზღვრებს, რომ არავინ გადააბოტოს, ის იცავს ერისა და გვარის ზნე-ჩვევებს, რონ მასში, ამ დვრიტაში, ერთი წვეთი შხამი არ შეერიოს და თუ შეერია, თვითონ ხდება მისი გამტარი, რომ ოჯახს და ქვეყანას არაფერი ევნოს; მისი მთავარი ღირსებაც

ზრუნვაშია მისთვის არ უნდა არსებობდეს სხვისი შვილი და სხვისი ჭირი. ერთნაირად უნდა გაუფრთხილდეს სხვის დას, დედას, სახლს და რაც მთავარია სხვის ღირსებას, თუკი უნდა, რომ სხვაც გაუფრთხილდეს მისას.

ამიტომ ოჯახის დედაკაცი, ე.ი. მეუღლე მისი მთელი თავისი მოწოდებით უნდა ცდილობდეს თუ, როგორ გაამდიდროს შვილები და გარშემომყოფთა თვალში მეუღლის სახელი და ღირსება; ცდილობდეს უბიძგოს დაიცვას საკრალური სიმდიდრე, ჯვრით ხელში დაულოცოს გზა გამარჯვებისკენ. კაბის ქვეშ გადამალული ოჯახის მამა, აბა რა მამაა, მითუმეტეს მეუღლე; იგი უნდა ცდილობდეს მეუღლისგან გამოძერწოს მთავარი ფიგურა, ხატება და მსახურებდეს როგორც მეფეს მსახურებენ, თუ უნდა რომ დედოფალი იყოს. თუ წაუხდენს (შეურცხვენს) ქმარს ღირსებას - იქნება ღირსება წართმეული კაცის - არარაობის ცოლი. ასევე ქმარმა უნდა იზრუნოს და მას სხვა საზრუნავი არ უნდა ჰქონდეს, რომ მეუღლე იყოს სულიერად სათანადოდ გამშვენებული, მას ცოლის სახით, სიყვარულით გადავსებული ფიალა უნდა ეპყრას და ამ სიყვარულით გაბრუებული, ცას ეწეოდეს. სხვა ქალს, ქალად არ უნდა აღიქვამდეს, ისინი ქრისტესმიერი დები უნდა იყვნენ მისთვის და რათქმა უნდა, მათაც სათანადო პატივით უნდა მსახურებდეს.

დედაკაცი კი, ეს ის ქალია, რომელმაც მერე რაინდი უნდა შვას. ის ოჯახის მანათობელი შუაცეცხლია, რომლის გარშემოც ქმარ-შვილია შემოკრებილი და მათი გულები თბება,- ის სიმშვიდეა, ის კიდობანია, სადაც ოჯახის ნამუსი ინახება. ის თავგანწირვაა, როცა სამშობიარო სარეცელზე მიდის და თავს სდებს, რათა ახალ სიცოცხლეს მისცეს დასაბამი. შეგინებული და გალანძღული ქალი, რაინდს ვერ შობს. ეს ის ჭურჭელია, სადაც ოჯახის, გვარის, სოფლისა და ერის სინდისი ინახება!!! ამბობენ დედაკაცმა სამოთხე მიატოვა და ჯოჯოხეთში ქმარს, სალბუნი დაადოო... აი ვინ არის დედაკაცი - მეუღლე, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ქალი, რომელიც გადალახავს ქმრის ოჯახის ზღურბლს, ის თავის გვარს აღარ ეკუთნის, ის ხდება და უნდა გახდეს უკვე თავისი ოჯახის ქომაგი, პატრონი, იგი პასუხისმგებელია მთელი ქონებისა, მომვლელი ეზო-კარისა, ქმრის წინაპართა საფლავების ზედამხედველი და მლოცველი, მან უარი უნდა სთქვას მამისეულ გვარზე და ატაროს თავისი შვილების გვარი, რომ მერე კბილებით დაიცვას ქმრისეული გვარი და ღირსება და თუ რამე წამოიყოლა მამისეულ სახლიდან ისეთი, რომელიც გაამდიდრებს ქმრისეულ ოჯახს, ეს ისე ფაქიზად უნდა შეიტანოს, რომ არ აწყენინოს ოჯახის ზნე-ჩვევებს. ცდილობდეს, რომ შვილებში გაამდიდროს და აამაღლოს მათი მამის სახელი, რომ მოწიწებით მიუდგნენ მას. დედაკაცი, მისი უდიდებულესობა ქართული ენის დამცველია, და თუ იავნანათი არ გაზარდა

შვილი, უკვე წახდა ყველაფერი. დაბადების დღეს, რომ „რა ლამაზი დღეა“-თი მიულოცავ და გავიწყდება, რომ „მრავალჟამიერი“ გაქვს ცოდო ხარ მაშინ...

და ბოლოს ქართველი ქალი ეს ზურაბის დედაა, სანათაა, გმირთაგმირ ხერხეულიძეების დედაა, ქეთევან წამებულია, თამარია, ვეფხთან მეომრის დედაა, იმ რაინდის დედაა, რომელიც არაა სატირალი და რაინდ შვილებთან ერთად, ისინიც, საუკუნოდ მოსახსენებელთა ეტრატზე არიან გამწესებულნი. ქართველი დედა ყოველთვის იდგა რწმენის სადარაჯოზე, არ შეურცხვენია თავი და მამაკაცთა გვერდიგვერდ იბრძოდა ოჯახის ღირსების და სარწმუნოების დასაცავად, ისინი ქრისტეში ჩამოყალიბდნენ და გარკვეული კვალი დატოვეს კაცობრიობის ისტორიაში. თამარ მეფემ თითქმის ცხრა საუკუნის წინ პირველმა აკრძალა სიკვდილით დასჯა „ჩვენგან არ მიცემულა სიცოცხლე და ჩვენგან არ წაერთმევის“. ეს მაშინ როცა კათოლიკურ სამყაროში, კათოლიკე კაპუცინები, ქრისტეს სახელით - ამ უცოდველი კრავის, სახელით - ასამართლებდნენ ხალხს. თამარ მეფემ, ახალი ერა შეჰქმნა მსოფლიო აზროვნებაში და გამოსცა ბრძანება... მერე ათი საუკუნის შემდეგ ძლივს მივიდა მსოფლიო „პროგრესული“ ხალხი ამ აზრამდე, თუმცა მრავალ ქვეყანაში სიკვდილით ახლაც სჯიან... სწორედ მართლმადიდებლობამ გაზარდა და გამოძერწა გვირგვინოსანი მეფე და ჩვენი წმინდანი ქალი... აღარაფერს ვამბობ წმ. ქეთევან წამებულზე, ის შეუდარებელია...

შვილების გაზრდა, ყველა გვარს თავისი განსხვავებული აქვს, გამომდინარე საგვარეულო ზნე-ჩვევიდან, ამიტომ აქ რამის თქმა უხერხულიცაა. ერთი კია ამ გაზრდაში ქართველობა უნდა იგრძნობოდეს, ქართველობა კი მართლმადიდებლობაა...

დიდი პატივია იყო შვილი ქვეყნის და ოჯახის. ტკივილამდე უნდა გიყვარდეს დედა და მამა, უნდა ეთაყვანებოდე პაპებს და ბებიებს, მათ საფლავებს, მათ აშენებულ ქოხს თუ სასახლეს, არ შეიძლება დედის ან ბებიის მოქსოვილი ფარდაგი ფეხქვეშ გაიგდო და მათ ხელებზე იარო, მათი აშენებული სახლი დაანგრიო ან დაწვა, მერე სასახლეშიც ვერ იპოვი საკუთარ თავს, უდიერად მოეკიდო მამის არქონას და სიმდიდრესაც, არ შეიძლება მამისეული გვარით ჯამბაზობა, მისი შერცხვენა, ეს მისი და შენი სინდისის შერცხვენაც არის. სინდისი - სანამ ის ცოცხალია, ის მას ეკუთვნის და რაც ჯერ შენ არ გეკუთვნის საფურთხებლად და წასაბილწად ნუ გაიმეტებ.

სანამ იმ ციხის ქონგურზე ახვიდოდე, რომლის მიღმაც შენი გვარი და ჯიშის სინდისია, სადაც ერის დვრიტაა გადანახული - განსაკუთრებული წვრთნა გმართებს, როგორც სულის ასევე ხორცის, წინაპართა სიბრძნის ზედმიწევნით ცოდნა, წვდომა...

შენც ზურაბივით იმ ციხის გოდოლში უნდა ჩაეშენ-ჩაედუღაბო, რომლის მიღმაც ზღვა სისხლის ფასადაა მოპოვებული ზნე-ჩვევა და სანუკვარი რწმენა. აი მერე შეგიძლია მოხუც მამას ჩაენაცვლო ქონგურზე და მათი დატოვებული სიბრძნით იცავდე მას. როცა ეს გექნება საზრუნავი, შენი მომავალი უკვე სხვანაირი იქნება; არ დათვრები უგონოდ, არ მოსწევ იმ სისაზიზღრეს, რაც მავნეა სულისთვის და ხორცისთვის, არ გახდები ნარკომანი და არ დაღუპავ არა მარტო შენ თავს, არამედ შთამომავლობასაც. ეს ყველაფერი თვითგვემაა, თვითმკვლელობისკენ მიმართული ცოდვა, რომელიც მოუნანიებელია და მიუტევებელი და პირდაპირი გზით ჯოჯოხეთისკენ მიჰყავს ადამიანი... სამწუხაროდ დღეს მივიღეთ მრუდე სახე იმის შესახებ, რომ სხვისი ქალწულობა შეურაცხყოფს გათახსირებულებს, ხოლო კაცობა და ვაჟკაცობა თრგუნავს უღირსებს და გარყვნილებს. ქუჩამ, ქურდბიჭობამ და ღამის კლუბებმა წალეკა ოჯახური ფასეულობები, მოზარდი თუ საკუთარ დედას არ აგინებს, მას რიყავენ და ეს წესიერი ადამიანი მარტოობას განიცდის. ეს უკვე ერის სიკვდილის კარამდე მისვლის ტოლფასია... გარდაცვალებაც ღირსეული უნდა ჰქონდეს ადამიანს. გახსოვდეს: - აზრი, რომლითაც მიდიხარ სიკვდილის კართან - ეს ის აზრია, რომლითაც ხდება მერე შენი გარდაცვალება ან სიკვდილი...

სამშობლო - ეს მარტო გეოგრაფიული შემოწერილობა როდია, მისი საზღვრები ხმლითა და სისხლითაა შემოსაზღვრული, თუ დაიჩოქებ და მშობლიურ მიწას ყურს დაადებ, ათას კვნესა-ვაებას გაიგებ, თუ კარგად დაუგდებ ყურს, იქ გამარჯვების ყიჟინაც ისმის, იქ მდუმარებაში წმინდა მამების სისხლის ჩუხჩუსაც გაიგებ ქვეყნის გადასარჩენი ლოცვა რომ წასძღოლია წინ ამ სისხლის ნაკადულს. ამ მიწაშია დამარხული ჩვენი დიდებაც და დაღმა სვლაც, აქ, ამ მიწაზე განისვენებენ ჩვენი წინაპრები, ქვაში დავანებული ისტორია, რომელიც დამწერლობით შემორჩა ერს, მერე, რომელმაც ეტრატზე გადაინაცვლა და ახლა ჩვენი ერის კულტურული მემკვიდრეობაა. აქ აღორძინდა და საფუძველი ჩაეყარა აზრს, ჯერ ქვაში რომ გაცოცხლდა, შემდეგ ვეფხის ტყავზე დაიწერა, რომელიც მერე, ეს აზრი, კუმურდოს ეკლესიაში, აღაპში გაიცვალა... ამ უბადლო აზრის წყალობით და განსაკუთრებულად მსოფლიო წიგნის წყალობით იცოცხლა ქართულმა ენამ, დიახ, იმ ორმოცმა წმინდანმა, (ორმოცი ასო-ბგერისგან შემდგარი ანბანი)

მოიტანა დღემდე ცურტაველი, მერჩულე, პეტრიწიონთა ნააზრევი, შოთას გენია... მაგრამ რამდენი წაიშალა, ამოიშანთა და გაქრა. მაინც თავისი გავიტანეთ ბაგედან ბაგეზე გადაეცემოდა ჩვენი სულის მარგალიტები და დღემდე მოვიტანეთ, რომელიც გზადაგზა თან იხვეწებოდა, მდიდრდებოდა და დღემდე მოვიდა. არ არსებობს აზრი, რომელიც ქართულ ენაზე ვერ გადმოსცეს ქართველმა ადამიანმა, ქართული ენა უნიკალურია, დიდზე დიდი საგანძური, ყოველი ასო ზედმიწევნით ჰპასუხობს ბგერას და არავითარი ასოთა ნაკრები არ არის საჭირო რომ ბგერას აღნიშნავდეს... ამიტომ ჩვენ ენას ისევე უნდა გაფრთხილება, როგორც თვალის ჩინს, ეს პირველ რიგში მშობელს ჰმართებს იყოს სათანადოდ განსწავლული და გამართული ენით ესაუბროს შვილებს, დაიცვას ყოველგვარი უმსგავსობისგან, რომელიც სუფევს დღევანდელ სინამდვილეში. როგორც სულმნათი ილია ჭავჭავაძე ბრძანებს - „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“... ჩვენ რას ვაკეთებთ? გაგვიგდია ფეხქვეშ ეს განძი და ლამის სული ამოვხადოთ. არ იქნება ქართული ენა, არ იარსებებს ერი, არც შენი სახელი დაიწერება შენს საფლავზე და იქ ძროხები იბალახებენ...

სულის შემართებას, აღმაფრენას და ტკივილს გამოხატავს ქართული ცეკვა, რომელიც მეფეთა წინაშე სიშიშვლით გაჯერებული როკვა და მანჭვა-გრეხა არ ყოფილა და არც არის, მასში გამარჯვებული ადამიანის აღმაფრენაა, ომში გავლილი ყიჟინა, ქალთა სინარნარე, კდემა, მოწიწება, შეძახილი და გამხნევება, ქალზე ზრუნვა. ქართულ ცეკვაში არ აღინიშნება სევდა, ვნება, გამოწვევა, ის, მხოლოდ პატივისცემაზეა გათვლილი...

გალობა და სიმღერა: „გალობაი არს ...ხმის შეწივასა ღმრთისასა...“ - სულხან საბას განმარტებით ასეა. იგი უხსოვარი დროიდან ზეპირად - ბაგედან ბაგეზე გადაცემით მოვიდა დღემდე. მართლაც ქართული სიმღერის მემკვიდრეობა განუმეორებელია, ასე ვთქვათ დედამიწაზე ბადალი არ ჰყავს, მაგრამ იცით რომ თითქმის ორმოცდაათი წელიწადია, ქართულ სოფელში სიმღერა აღარ დაბადებულა? სიმღერებს წერენ კომპოზიტორები, უნიჭო პოეტები, ხალხში აღარ იბადება სიმღერა, ხოლო რასაც დღეს ვისმენთ ნამდვილი თავდასხმაა ქართულ კულტურაზე. იქ სადაც პოეზია გამქრალია და ჰარმონია - უგულებელყოფილია,- იქ ქართული სული აღარ არსებობს; ისმის დასარტყამი ხელსაწყოების ალიაქოთი... ქორწილები ხომ სულ გაათახსირა ამ ელექტრონულმა ხელსაწყოებმა. იავნანა ამოვარდა ერის ცნობიერებიდან. გატეხეს ქართველი ქალი, იქამდე კი, კაცი. ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მას ყურადღება მოედუნებინა და აი შედეგიც...

მადლობა უფალს, რომ ეკლესიამ შემოგვინახა საგალობლები და ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, თუმცა...

მამულიშვილობა გამომდინარეობს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მოვალეობებიდან, რაც მივიჩნიეთ, რომ მოწიწებას იმსახურებს. ყველა სახელმწიფოს უნდა ვემსახუროთ და შეძლების მიხედვით კუთვნილი ლეპტა დავდოთ. აი რას მასწავლიდა ლევან გოთუა: -„არავითარი ბედნიერება არცა მწამს, და არცა მწადია, უკეთუ იგი ჩემ სამშობლოს ხარჯზე იქნება“. ამ წესით თუ ვიცხოვრებთ ქვეყანას არაფერი მოუვა. სოფლები იცლება და მალე მათ უცხო რჯულის ხალხი დაეპატრონება, წახდება და ამოიძირკვება რაც ძვირფასია ერისთვის, რისთვისაც ზღვა სისხლია დაღვრილი. სოფელი იქით იყოს, ქვეყნიდან გარბიან, აქ კი უცხოელები ჩამოდიან. ეს ქვეყანა სხვისთვის სამოთხეა, ქართველისთვის რატომ უნდა იყოს ჯოჯოხეთი? ჩემი ღრმა რწმენით ეს ღალატია და თუ ამაში ეჭვი შეგეპარათ, ისევ სულმნათ ლევან გოთუას მოუსმინეთ: - „ ღალატი მარტო ის კი არ არის მტრის მხარეს გადახვიდე და სამშობლოს ებრძვი, არამედ ისიც - მტრის საქმეს რომ შეალევ შენ ძალასა და სიცოცხლეს, სამშობლოს კი მოაკლებ ან სულ დაუკარგავ“

მაგიდაზე ასული ყანწით ხელში, მამულის სადღეგრძელოს რომ ამბობენ, გინახავთ ალბათ...

ერთიც, არანაკლებ მნიშვნელოვანი: ალბათ გიფიქრიათ თუ რამდენად ბედნიერები ხართ, რომ ღმერთმა არ დაგიმადლა და მოგცა ნიჭი იმისა, რომ მეტყველებდე, ხედავდე, გესმოდეს და აღიქვამდე სამყაროს ისეთს, როგორიც არის: არ ხარ ხეიბარი, მუნჯი, ბრმა, ყრუ, და დაუნი. ეს განუსაზღვრელი ჯილდო, ამხელა ძღვენი გიძღვნა მაცხოვარმა და ჩვენ რაში ვიყენებთ ამას?- შესაბამისად- ბილწსიტყვაობაში, გინებაში, განკითხვაში, მრუშობაში, შვილთაკვლაში (აბორტები და მსგავსი ქმედებები)... არადა ხომ ვიცით: ჩვენივე სიტყვები (ასევე ნამოქმედარი) მოწმედ დაგვიდგებიან განკითხვის ჟამს და მოგვიგებენ: „შენმა ბაგეებმა მშვა მე“, და მოგვიწევს პასუხისგება. მოგვცა სახე და სხეული ისეთი, როგორიც ვართ. რაღაცა სვირინგებით, რომ ამახიჯებ სხეულს, სახეს, რაზე ფიქრობ, რატომ გინდა „გაალამაზო“ შენი მე, გახსოვდეს: კედელზე (სხეულზე) ეშმაკს ნუ დახატავ, თუ არა, მერე მოვა ის აქოთებული და თავის „მცნებას“ მოგკითხავს!!!

ერთი ნახეთ რა ფოტოებს სდებენ სოციალურ ქსელში, როგორ პოზირებენ ობიექტივის წინ - ენაგამოყოფილები, დაჯღანულები, არადა რად ვჩქარობთ, მოვესწრებით ამასაც, როცა დავბერდებით, ან რაღაცა უბედურებაში მოვყვებით და მოტეხილი კიდურებით დავმახინჯდებით, როცა უძლურება

დაგვრევს ხელს. აი მაშინ იქნება შენი სულის გაკოტრება - და მოვა დრო, როცა შენს სიმახინჯეს ვერანაირი ფერუმარილით ვეღარ დამალავ, ხოლო თუ შეეცდები სასაცილო იქნები, იმიტომ, რომ მოხუცი ხარ და სულის გადარჩენაზე უნდა იფიქრო... დღედაღამ უნდა მადლობდე უფალს ამ საჩუქრებისთვის რითაც დაგაჯილდოვა...

სატანა ცდილობს უშფოთველი ცხოვრებით უზრუნველგყოს: გაძლევს ადვილად გამდიდრების საშუალებას, სხვადასხვა გზებით მიჰყავხარ „აღმაფრენამდე“, მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთი არ ეძებიო, ან სულ დაგავიწყდეს იგი. უფალი კი, გზაზე ქვას დაგიდებს, რომ ფეხი წამოჰკრა, წაიქცე და წამოსადგომად ღმერთს მოუხმო და მის გამოწვდილ ხელს დაეყრდნო, შეიცნო ის და მისი უხილავი ძალა. სიძნელეში ეძებო არსი ცხოვრებისა და არა განცხრომაში...

სანთელივით თუ არ დაიწვი, ისე ქვეყანას ვერ გამოადგები, ვერც ოჯახს; არადა წვის ჟამია ადამიანს პიროვნებად რომ აქცევს. უბრალო სანთელი სანამ თაროზე დევს, ის საგანია; საკმარისია ავანთოთ და სინათლესთან ერთად სითბოსაც გვჩუქნის. ესეიგი ის ზრუნავს ჩვენზე, გვინათებს გზას, რომ არ გადავიჩეხოთ, მაგრამ ის იწვის და ნადგურდება, ჩვენი კეთილდღეობისთვის ნადგურდება, და თავს სწირავს. თავგანწირვა, აი რა არის ქართველისთვის ცხოვრების მიზანი.: - იყო შენი ქვეყნის და შენი გვარის ღირსეული შვილი, შენში გამოძერწო რაინდი, გქონდეს თავგანწირვის ნიჭი, მერეც რომ იცოცხლო მუდამ!!!

თავი მაღლა ასწიე მეგობარო და თუ გკითხონ ვინ ხარ შენ? - თამამად უპასუხე, რომ ხარ ქრისტეს მიმდევარი ქართველი და იამაყე ამით; და გახსოვდეს რითი და რატომ ამაყობ. ის შენი წინაპარ თანამემამულეთა სისხლითა და ოფლითაა მოპოვებული, აკვანთან უძილო ღამეებითა და ვენახ-ჯეჯილზე ზრუნვით მოტანილი დღევანდელი დღე... ნუ წაახდენ ამას, თუკი ვერაფერს შესძენ!!!

2025 წელი 28 აგვისტო.